საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/78 " 22 " იანვარი 2018 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

„საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 25 სექტემბრის №1/208-2007 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

1. „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 25 სექტემბრის №1/208-2007 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში“ შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) მე-9 მუხლის „ბ.ბ“ და „ბ.გ“ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ.ბ) დამოუკიდებელი ინსპექტორისა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატის მოხელის თანამდებობრივ სარგოებსა და თანამდებობათა დასახელებებს;“;

ბ.გ) საერთო სასამართლოების (გარდა საქართველოს უზენაესი სასამართლოსი) აპარატების სტრუქტურას, აპარატის მოხელეთა საშტატო რაოდენობას, თანამდებობრივ სარგოებსა და თანამდებობათა დასახელებებს;“;

ბ) 27-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფის მიზნით იქმნება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატი. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატის სტრუქტურას და მოხელეთა საშტატო ნუსხას, აგრეთვე აპარატის მოხელეთა თანამდებობრივ სარგოებსა და თანამდებობათა დასახელებებს ამტკიცებს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.“;

გ) 27^1 მუხლის მე-3 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

2. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი